ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე - ანა ლორია

კოლეგიის წევრი - ბესიკ ქარცივაძე

კოლეგიის წევრი - ნათია ჩიტაშვილი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 03.04.23

შეკითხვის ავტორი - ადვოკატი ------ /სიითი №/

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 004/23

I. შეკითხვა

ადვოკატი A ადმინისტრაციულ საქმეზე იცავდა კომპანია M-ის ინტერესებს, საქმის წარმოების პროცესში გააკეთა კომპანიის ამონაწერი საიდანაც გაიგო კომპანია M-ის წილების გასხვისების შესახებ, ასევე ადმინისტრაციული საქმის წარმოების ფარგლებში ნახა წილის გადასხვისების ხელშეკრულება, რომლის ასლიც ჰქონდა მას ელექტრონულად.

კომპანია M-ის წილების გასხვისებასთან დაკავშირებით, პროკურატურამ თაღლითობის ბრალდებით, ვინაიდან არასწორად მოხდა წილების გასხვისება, დააკავა კომპანია M-ის დირექტორი.

პროკურატურაში მოწმის სახით დაიბარეს ადვოკატი A, რომელსაც სთხოვდნენ ინფორმაციას კომპანიის წილების გასხვისებასთან დაკავშირებით. გამომძიებელმა ადვოკატს განუმარტა, რომ მასზე არ გავრცელდებოდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მოქმედება, ვინაიდან ის კომპანია M-ის ინტერესებს იცავდა ადმინისტრაციულ საქმეზე და არა სისხლის სამართლის საქმეზე, გამომძიებელის განმარტებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი ადვოკატთან დაკავშირებით აკეთებს სპეციალურ დათქმას, (ადვოკატი - პირი, რომლიც კანონით დადგენილი წესით იცავს ბრალდებულის, მსჯავრდებულის,

გამართლებულის ინტერესებს და უწევს მათ იურიდიულ დახმარებას). შესაბამისად, ჩვენებაზე უარის თქმის ან ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის გამოძიებისთვის არ გადაცემის პრივილეგია არ გავრცელდებოდა მასზე.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია M-ის დირექტორი წინააღმდეგი იყო ადვოკატ A-ს მიეცა ჩვენება და გადაეცა ხელშეკრულების ელექტრონული ასლი, ადვოკატმა A-მ გამომძიებელს მისცა ჩვენება და მიაწოდა ხელშეკრულების ელექტრონული ასლი.

კითხვა: დაარღვია თუ არა ადვოკატმა, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რომელიმე პრინციპი.

II. ანალიზი

ეთიკის კომისიის შეფასებით, შეკითხვაში წარმოდგენილი ფაქტების მიხედვით, ვლინდება ადვოკატის მხრიდან პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულების დარღვევა.

ეთიკის კომისიამ ადვოკატის ქმედებების აღმწერი ჰიპოთეტური ფაქტები განიხილა ადვოკატის პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულების მარეგულირებელი ნორმებით.

> ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად; კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული და/ან მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია - კონფიდენციალური ინფორმაცია (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1. ა, ბ).
>
> ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1, 4.2).
>
> არ შეიძლება ადვოკატი დაიკითხოს მოწმედ იმ საქმეზე, რომელშიც იგი მონაწილეობდა, როგორც ადვოკატი (დამცველი ან წარმომადგენელი) (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 38.3).

პროფესიული საიდუმლოება ვრცელდება ნებისმიერი წყაროდან მიღებულ ყველა იმ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა კლიენტის წარმომადგენლობის პროცესში და უკავშირდება კლიენტის საქმეს. ხელშეუხებელია ის ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის სამართლებრივი დაცვის მიღების მსურველი პირისაგან უშუალო კომუნიკაციის შედეგად გახდა ცნობილი საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. პროფესიული საიდუმლოება მოიცავს როგორც კონფიდენციალურ ინფორმაციას, ისე ხელშეუხებელ

ინფორმაციას. საქართველოს კანონმდებლობით არ არის დიფერენცირებული კონფიდენციალური ინფორმაცია ხელშეუხებელი ინფორმაციისაგან (ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიისაგან) და პრაქტიკაში ხშირად ხდება მათი გაიგივება. კომისია განმარტავს, რომ განსხვავებით კონფიდენციალობისაგან, რომელიც ეთიკური ვალდებულების მნიშვენლოვანი ნაწილია, ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია წარმოადგენს ადვოკატისათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებას, არ მისცეს ჩვენება კლიენტთან კომუნიკაციის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შესახებ.

„საზოგადოება ადვოკატებს ენდობა არა მეგობრობის ან სხვა სახის პირადი ურთიერთობისთვის, არამედ იმიტომ, რომ ადვოკატი მიეკუთვნება ისეთ პროფესიას, რომელიც საზოგადოებაში კარგად არის ცნობილი საიდუმლოების შენახვით. საიდუმლოების შენახვის ეს შესაძლებლობა არის კლიენტის მიმართ ერთგულების ვალდებულების ცენტრი“ (გასიტაშვილი ე., ზამბახიძე თ., კორძახია ი., ლორია ა., მესხიშვილი ქ., მოლიტერნო ჯ., ხუბულური თ., იურიდიული ეთიკა, ა. ლორიას რედაქტორობით, თბილისი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021).

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული დაცვის უფლების განხორციელება პირდაპირ არის დაკავშირებული ადვოკატის ვალდებულებასთან - დაიცვას პროფესიული საიდუმლოება. ეს ვალდებულება რომ არ არსებობდეს, კლიენტი არ გადასცემდა ადვოკატს ინფორმაციას/სწორ ინფორმაციას, არ გაუზიარებდა შესაბამის დოკუმენტებს, რაც შეუძლებელს გახდიდა დაცვის უფლების სრულყოფილ განხორციელებას. სწორედ ამიტომ, ადვოკატის ქცევის სტანდარტში კანონმდებელმა გაითვალისწინა კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება.

ადვოკატის მიერ კლიენტის წარმომადგენლობის დროს მესამე წყაროდან მიღებული ინფორმაცია, არ ჩაითვლება ხელშეუხებელ ინფორმაციად, მაგრამ მასზე ვრცელდება კონფიდენციალობის ვალდებულება განუსაზღვრელი ვადით. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების უფლებამოსილებას, როგორც საგამონაკლისო უფლებამოსილებას (და არა ვალდებულებას) ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი (მუხლი 7) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (მუხლი 4) პირდაპირ, მკაფიოდ და ამომწურავად განსაზღვრავს. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების უფლებამოსილება ადვოკატს აქვს ოთხ შემთხვევაში: (1) კლიენტის თანხმობისას; (2) იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ინფორმაციის გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და თუ მისი გამჟღავნება კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს; (3) იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მისთვის წაყენებული ბრალდებისგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ადვოკატის მიერ მისი მოთხოვნის დასაბუთებისას და (4) იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მიუღებელი ჰონორარის თაობაზე სასამართლო დავის არსებობისას. შესაბამისად, კანონმდებელმა არ გაითვალისწინა შესაძლო დანაშაულის შემცველი ინფორმაციის შესაბამისი უწყებებისათვის გადაცემა, როგორც კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების საგამონაკლისო წესი.

გამომდინარე იქიდან, რომ კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობა ნდობაზეა დაფუძნებული, კონფიდენციალური ინფორმაციის არამართლზომიერი გათქმით და მხარეებს შორის ჩამოყალიბებული ნდობის ხელყოფით, ადვოკატი არამარტო თავის რეპუტაციას აყენებს ზიანს,

არამედ საფრთხეს უქმნის მთლიანად ადვოკატთა კორპუსს და აზიანებს საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი არსებულ ნდობას. შესაბამისად, საადვოკატო პროფესიაში კონფიდენციალურობის დაცვის გამკაცრებული მოთხოვნა, პროფესიის საერთო კორპორაციული ინტერესებიდან მომდინარეობს და მოითხოვს ადვოკატისგან მაღალ წინდახედულებას, განზრახ თუ გაუფრთხილებლობით, არ დაარღვიოს კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება.

„კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, აღნიშნული, გარდა კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციისა, მოიცავს, ასევე, კლიენტის შესახებ სხვა ნებისმიერი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. ამასთან, კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში“ (ეთიკის კომისიის 10.04.2012 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №094/11).

ადმინისტრაციულ საქმეზე კლიენტის წარმომადგენლობისას ადვოკატის მიერ მესამე პირისაგან მიღებული ინფორმაცია მართალია არ ჩაითვლება პრივილეგირებულ ინფორმაციად, თუმცა მასზე ვრცელდება კონფიდენციალობის ვალდებულება. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არ გვაქვს საქართველოს კანონმდებლობლობით მკაფიოდ განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევები, ადვოკატი ვალდებულია ეს ინფორმაცია კონფიდენციალურად შეინახოს განუსაზღვრელი ვადით. ამასთან, მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახეზეა კანონმდებლობის განსაზღვრული საგამონაკლისო გარემოებები, გამჟღავნება ადვოკატის უფლებამოსილებაა. მესამე პირები ვერ დაავალდებულებენ ადვოკატს გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია.

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი (მუხლი 38.3) ადვოკატის, როგორც მოწმის სტატუსით დაკითხვის შემთხვევას არეგულირებს, რომლის მიხედვითაც არ შეიძლება ადვოკატი დაიკითხოს მოწმედ იმ საქმეზე, რომელშიც იგი მონაწილეობდა, როგორც ადვოკატი (დამცველი ან წარმომადგენელი). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (მუხლი 141) მიხედვით, არ შეიძლება დაკითხულ იქნენ მოწმედ წარმომადგენლები სამოქალაქო საქმეებსა და დამცველები სისხლის სამართლის საქმეებზე – ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა მათ მიერ წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებისას. ამავე კოდექსით (მუხლი 142.გ), ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება აქვთ პირებს, რომლებიც თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ვალდებულნი არიან დაიცვან საიდუმლოება, თუ ისინი განთავისუფლებულნი არ არიან ამ მოვალეობისაგან. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (მუხლი 50.1), მოწმის სახით ჩვენების მიცემისას მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება: ა) ადვოკატს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; ბ) ადვოკატს, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე, – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.

ეთიკის კომისია განმარტავს, ადვოკატ A-ს არა თუ ვალდებულება არ ეკისრებოდა ყოფილი კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ გაეცა პროფესიული საქმიანობის დროს მოპოვებული ინფორმაცია, არამედ, მას ამის უფლებამოსილებაც არ ჰქონდა. პროფესიული ეთიკა ადვოკატს პირდაპირ ავალდებულებს არ გათქვას პროფესიული საიდუმლობა და გასული დროის მიუხედავად დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ადვოკატ A-ის მიერ, კომპანია M-ისთვის გაწეული საადვოკატო მომსახურეობის პერიოდში მოპოვებული ინფორმაცია, წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. ადვოკატ A-ს, გასული დროის მიუხედავდ, ეკისრებოდა ვალდებულება დაეცვა პროფესიული საიდუმლოება, ხოლო ის ფაქტი, რომ გამომძიებელმა ადვოკატისგან მოითხოვა ინფორმაციის მიწოდება საქმეზე, სადაც ის არ არის კომპანია M-ის უფლებადამცველი, არ გამორიცხავს ადვოკატის ვალდებულებას დაიცვას პროფესიული საიდუმლოება. შესაბამისად, პროფესიული ეთიკა ადვოკატ A-ს ავალდებულებდა არ გაეცა პროფესიული საიდუმლოება და არ მიეწოდებინა გამომძიებლისთვის, კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლის გამჟღავნება ბოლომდე კლიენტის და არა ადვოკატის უფლებამოსილებად რჩება.

III. დასკვნა

ადვოკატ A-ს მიერ, კომპანია M-ისთვის გაწეული საადვოკატო მომსახურეობის პერიოდში მოპოვებული ინფორმაცია, წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომლის მიმართ, გასული დროის მიუხედავად, ადვოკატს ეკისრება პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება. შესაბამისად, ადვოკატმა A-მ კლიენტის ნების საწინააღმდეგოდ, გამომძიებლისთვის კონფიდენციალური დოკუმენტაციისა და ინფორმაციის გადაცემით, დაარღვია პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპი.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ზესიკ ქარცივაძე/

კოლეგიის წევრი: /ნათია ჩიტაშვილი/